საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კოლეგიის წევრი: მარიკა არევაძე

კოლეგიის წევრი: ცისმარი ონიანი

საჩივრის ავტორი: გ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №071/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ /სიითი№..../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

ადვოკატ ნ. მ.-ის წარმომადგენელი: ადვოკატი ე. პ. /სიითი№..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ.-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 22 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 16 ივლისს გ. მ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის 2018 წლამდე მართლზომიერად ფლობდა ბათუმში არსებულ საოფისე ფართს გ. შ.-თან და მ. ღ.-თან ერთად. აღნიშნული საოფისე ფართი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გაიტანა გასაყიდად აუქციონზე 2018

წლის მარტის დასაწყისში, ისე რომ ფართი თავისუფალ მდგომარეობაში არ იყო, თუმცა ის აუქციონის გზით შეიძინა შ.პ.ს. „...“-მა, რომლის წარმომადგენელიც არის ადვოკატი ნ. მ.. საჩივრის ავტორის განმარტებით, აუქციონის ჩატარების თაობაზე მას ინფორმაცია არ მიაწოდეს. საჩივრის ავტორმა და ოფისის სხვა თანამესაკუთრეებმა შეკითხვებით მიმართეს აჭარის მთავრობას აუქციონის ჩატარების თაობაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის თებერვლის თვეში მასთან ოფისში გაუფრთხილებლად მივიდნენ შ.პ.ს. „...“-ის წარმომადგენლები, მათ შორის ადვოკატი ნ. მ., რომელიც მას არ დაკავშირებია ოფისში მისვლამდე წინასწარ. საჩივრის ავტორს მოსთხოვეს შენობის დაცლა, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მათ არ წარუდგენიათ არც საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც სასამართლოს გადაწყვეტილება გამოსახლების შესახებ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მეორე დღეს ოფისი დახვდა ბოქლომით დაკეტილი, ხოლო ძველი საკეტები იყო ელექტრო ხერხით დაჭრილი, შენობის პერიმეტრზე იდგნენ კერძო დაცვის თანამშრომლები, რის გამოც მან ვერ მოახერხა შენობაში შესვლა. საჩივრის ავტორს ადგილზე დახვდა ადვოკატი ნ. მ., რომელმაც განუცხადა, რომ იგი იყო შ.პ.ს. „...“-ის იურისტი და მისი მითითებით მოხდა ოფისის კარებზე ჯაჭვებისა და ბოქლომების დადება. ზემოაღნიშნული ქმედებები ადვოკატმა ნ. მ.-მ განახორციელა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, საჩივრის ავტორს არ დაუტოვა შესაძლებლობა იმისა, რომ გამოეტანა მისი კუთვნილი საოფისე ინვენტარი და დოკუმენტაცია საოფისე ფართიდან. საჩივრის ავტორმა განუმარტა ადვოკატს, რომ წარედგინა მისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილება, რის შემდეგაც იგი თანახმა იქნებოდა დაეცალა ფართი. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არ მისცა საჩივრის ავტორს შენობაში შესვლის საშუალება. ასევე საჩივრის ავტორმა ადგილზე შენიშნა, რომ ჩამოხსნილი იყო მისი კომპანიის კუთვნილი ბანერი, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, „აქ არანაირი ბანერი არ ყოფილა, არაფერი ვიცი“. რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა გამოიძახა პოლიცია, რომელმაც მათ მისცა გარანტია იმის თაობაზე, რომ შენობაში არსებული საოფისე ინვენტარი იქნებოდა უშუალოდ პოლიციის კონტროლის ქვეშ და ოფისში მათი ნებართვის გარეშე ვერავინ შევიდოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად გარანტიებისა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მას აცნობეს, რომ აღნიშნული ოფისი იყო გატეხილი, ყველა კაბინეტი იყო განადგურებული და მიმდინარეობდა შენობაში რემონტი, ხოლო საოფისე ინვენტარი არ იყო ადგილზე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, იქ მყოფი საზოგადოებისა და სამართალდამცავების თვალწინ ადვოკატმა ნ. მ.-მ საჯაროდ დასდო მას ბრალი, რომ ის შ.პ.ს. „...“-ის წარმომადგენლებისგან ითხოვდა 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარს, რაც მისი ავტორიტეტისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მიზანს ემსახურებოდა. ადვოკატი ნ. მ. ამტკიცებდა, რომ საჩივრის ავტორს გ. შ.-ის და მ. ღ.-ის შესახებ უთქვამს, რომ „ესენი ვაფშე ვინ არიან, ქონება ჩემია და არ გამოვდივარო“, რის თაობაზეც საჩივრის ავტორი ადვოკატს შეეპასუხა, თუ რატომ ამბობდა ტყუილს, რაზეც ადვოკატმა ნ. მ.-მ ხელიდან გამოგლიჯა ტელეფონი, რომლითაც მას ვიდეოს უღებდა და აგრესიულად დაუწყო კვლავ ცრუ ბრალდება შემდეგი სიტყვებით: „ფულს რომ ითხოვდი მაშინ ხომ კარგი იყო“.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. მ.-მ ცინიკურად განაცხადა „იყვირონ რამდენიც უნდათ ქონება ჩემიაო“. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი კუთვნილი საოფისე ინვენტარი, ადვოკატის მითითებით გაიტანეს შენობიდან ისე, რომ მისთვის ამის შესახებ არ მიუწოდებიათ ინფორმაცია და დაასაწყობეს შ.პ.ს. „...“-ის ერთ-ერთი თანამშრომლის სახლში. ადვოკატ ნ. მ.-ის მითითებით, შ.პ.ს. „...“-ის თანამშრომლებმა გამოიტანეს საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული თეთრი ზეწარი და დაკიდეს ოფისის ფანჯრებში, რათა მოქალაქეებს არ დაენახათ თუ რა ხდებოდა ფანჯრის მიღმა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. მ.-მ საჯაროდ ამხილა გ. შ. და მ. ღ. მათ შორის „ვერაგულ შეთქმულებაში“, თითქოს გ. მ. „მათი შეყვანილი იყო ოფისში და როგორც სურდათ ისე გამოიყვანდნენ“.

2. ადვოკატის წარმომადგენლის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ნ. მ.-ის წარმომადგენელმა - ე. პ.-მ მოცემულ საჩივართან დაკავშირებით ეთიკის კომისიაში 2018 წლის 12 ივნისს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ამავე წლის 24 ივლისს ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, საჩივრის ავტორი უკანონოდ ფლობდა აღნიშნულ საოფისე ფართს, ვინაიდან იგი არ იხდიდა იჯარის თანხას. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ნ. მ. რამოდენიმეჯერ დაუკავშირდა საჩივრის ავტორსა და მის მეგობრებს მ. ღ.-სა და გ. შ.-ს, რისი ვალდებულებაც მას საერთოდ არ გააჩნდა, ისინი მაინც უარს აცხადებდნენ გადახდაზე, ითხოვდნენ შენობიდან გასვლის სანაცვლოდ თანხას 3000 (სამი ათას) აშშ დოლარს და აგრძელებდნენ მოცემული საოფისე ფართით არამართლზომიერად სარგებლობას.

2.3 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა ნ. მ.-მ ნამდვილად განაცხადა საჯაროდ, „იყვირონ რამდენიც უნდათ, ქონება ჩემიაო“, მაგრამ ამ შემთხვევაში ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა არა საჩივრის ავტორის დისკრედიტაცია, არამედ მან უბრალოდ ხაზი გაუსვა, რომ მოცემული შენობა ეკუთვნოდა შ.პ.ს. „...“-ს.

2.4 ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი ნ. მ. მოქმედებდა კანონიერად, როდესაც დაადო აღნიშნულ შენობას ბოქლომები, ვინაიდან იგი იცავდა შ.პ.ს. „...“-ის ინტერესებს, ხოლოს ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორის ოფისის ბოქლომები ადვოკატ ნ. მ.-ის უშუალო განკარგულებით იქნა მოჭრილი, არ დასტურდება.

2.5 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება საჩივრის ავტორის განაცხადი იმის შესახებ, რომ მისი ოფისი უკანონოდ იქნა გატეხილი უშუალოდ ადვოკატ ნ. მ.-ის ინიციატივით და ოფისში არსებული ინვენტარი იყო გატანილი, ხოლო კაბინეტები განადგურებული, ვინაიდან საჩივრის ავტორის მიერ პოლიციის გამოძახების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელდა ოფისში არსებული ინვენტარის დეტალური აღწერა, რის შემდეგაც მოცემული ინვენტარი აიტანეს შენახვის მიზნით კერძო პირთან.

2.6 ადვოკატის წარმომადგენლის განცხადებით, საჩივრის ავტორი განზრახ ცდილობს წარმოაჩინოს საჩივარში ის ფაქტი, რომ ყველა განხორციელებული ქმედება ადვოკატ ნ. მ.-ის უშუალო მითითებით განხორციელდა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ადვოკატის უფლებამოსილება შ.პ.ს. „...“-ში ძირითადად შემოიფარგლება კონსულტაციების გაცემით.

2.7 ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, მისი მარწმუნებელის მიზანს არ წარმოადგენდა საჩივრის ავტორის რეპუტაციისა და ავტორიტეტის საჯაროდ შელახვა, როდესაც განაცხადა, რომ საჩივრის ავტორი შ.პ.ს. „...“-ის წარმომადგენლებისგან 3000 აშშ დოლარს ითხოვდა შენობის დაცლის სანაცვლოდ, არამედ ამით მან მოახდინა რეალურად არსებული ფაქტის საჯაროდ კონსტატირება.

II. სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი№..../ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 საჩივრის ავტორმა გ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 22 მაისს.

3.1 სადაო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა ნ. მ.-მ პროფესიული ეთიკის ნორმები, მათ შორის საჩივრის ავტორის მისამართით საჯაროდ გაავრცელა პატივისა და ღირსების შემლახავი ცრუ ინფორმაცია.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

,,ადვოკატთა შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა

საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

5.3 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ.

5.5 მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატი ნ. მ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის შპს „...“-ის ინტერესებს. საჩივრის შინაარსი და ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ეხება გ. მ.-ის მფლობელობაში არსებული საოფისე ფართის შპს „...“-ის მიერ შეძენის ფაქტს და ამავე ფართის გამოთავისუფლების პროცედურებს, აგრეთვე, იმ გარემოებებს, თუ როგორ მიმართა გ. მ.-მ აჭარის მთავრობას და შესაბამის ორგანოებს სადაო საკითხთან დაკავშირებით. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ეხება საჩივრის ავტორსა და შპს „...“-ს შორის არსებულ დავას და არ ეხება კონკრეტულად ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

5.6 საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ მის მფლობელობაში არსებული საოფისე ფართი შეიძინა შპს „...“-მა, რომლის წარმომადგენლები ოფისთან გაუფრთხილებლად მივიდნენ, მათ შორის იყო ადვოკატი ნ. მ., რომელმაც გამოსახლების პროცედურის დაწყებამდე გ. მ.-ს არ აცნობა ამის შესახებ წინასწარ. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატის წარმომადგენელმა ე. პ.-მ განმარტა, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს თავის მარწმუნებლებთან ერთად არაერთხელ ჰქონდა საჩივრის ავტორთან კომუნიკაცია. საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზიის თაობაზე ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესების

გათვალისწინებით და არა მოწინააღმდგე მხარის სასარგებლოდ, შესაბამისად, მის მიერ წარმომადგენლობის დროს არჩეულ სტრატეგიას წარმოადგენს, რომელი იურიდიულ მოქმედებას განახორციელებს ის, მათ შორის თავად კლიენტმა უნდა გადაწყვიტოს, რომელ ეტაპზე სურს მოწინააღმდგე მხარესთან კომუნიკაცია და მოლაპარაკებების წარმოება.

5.7 გ. მ. თავის საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მ საჯაროდ შეულახა ავტორიტეტი და ღირსება, გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, მათ შორის ბრალი დასდო, თითქოს მან შ.პ.ს. „...“-ის წარმომადგენლებს მოსთხოვა 3000 (სამი ათასი) დოლარის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება თუ არა სიმართლეს წარმოადგენს მხარეთა შორის სადაო საკითხს და ადვოკატის მიერ წარმოთქმული ეს მოსაზრება გამომდინარეობს თავისი კლიენტის ინტერესებიდან.

5.8 გ. მ.-ის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ მისი ოფისის კარები მან ჩაკეტა ბოქლომით და მან არ მისცა შესაძლებლობა შესულიყო თავის ოფისში და გამოეტანა საოფისე ინვენტარი და დოკუმენტაცია. საჩივრის ავტორს საკუთარი ოფისის წინ კომპანიის ბანერი ჩამოხსნილი დახვდა, თუმცა ადვოკატმა ნ. მ.-მ განუცხადა ,,აქ არანაირი ბანერი არ ყოფილა, არაფერი ვიციო“; ადვოკატმა ნ. მ.-მ საჯაროდ ცინიკურად განაცხადა, ,,იყვირონ რამდენიც უნდათ, ქონება ჩემიაო“; ადვოკატის თქმით, საჩივრის ავტორზე გ. შ.-ს და მ. ღ.-ს უთქვამთ, თითქოს საჩივრის ავტორი ,,მათი შეყვანილი იყო ოფისში და როგორც სურდათ ისე გამოიყვანდნენ“. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საჯაროდ განუცხადა, რომ ის ტყუოდა, ასევე, პოლიციელს მისი მისამართით უთხრა ,,გაიყვანეთო“. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ის ოფისის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს თავისი ტელეფონის საშუალებით აფიქსირებდა, როდესაც ადვოკატმა ნ. მ.-მ ტელეფონი წაართვა და აგრესიულად დაუწყო საუბარი ცრუ ბრალდებით „ფულს რომ ითხოვდი მაშინ ხომ კარგი იყოო“. გ. მ. აღნიშნავს, რომ ადვოკატმა „საჯაროდ ამხილა გ. შ. და მ. ღ. მათ შორის ვერაგულ შეთქმულებაში, „თითქოს საჩივრის ავტორი მათი მიყვანილი იყო ოფისში და როგორც სურდათ ის გამოიყვანდნენ“.

5.9 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ გამოთქმული პრეტენზიების დასადასტურებლად მტკიცებულების სახით დაურთო ვიდეომასალა. გ. მ.-ის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერები ეხება ბათუმში მდებარე სადაო ოფისთან მიმდინარე მოვლენებს, გადაღებულია შენობის მიმდებარე ტერიტორია და იქ მყოფი ხალხი, მათ შორის ადვოკატი ნ. მ.. ვიდეოჩანაწერის უმრავლესობა არ ეხება ადვოკატ ნ. მ.-ს.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების, მტკიცებულებების, მათ შორის ვიდეოჩანაწერების შესწავლის შედეგად დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი ნ. მ. მოქმედებდა თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის სადაო ოფისის ტერიტორიაზე ყოფნის დროს, როდესაც გ. მ.-ს, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს განუცხადა, რომ მათ მიერ იქნა დალუქული შენობა. საჩივრის ავტორის მიმართ ადვოკატის მიერ წარმოთქმულ ფრაზები, მათ შორის

ადვოკატის პოზიციები სადაო საკითხის თაობაზე შესაძლებელია მიუღებელი იყოს საჩივრის ავტორის, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მიერ და ის მოცემული გამოთქმული ფრაზებით განიცდიდეს დისკრედიტაციას, თუმცა აღნიშნული გარემოება არ არის იმის საფუძველი, რომ ადვოკატს შეეზღუდოს მსგავსი გამონათქვამებით სარგებლობის უფლება, თუ მესამე პირს არ ადგება ზიანი. მხოლოდ სუბიექტური დამოკიდებულება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადვოკატს შეეზღუდოს სიტყვის გამოხატვის უფლება. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების, საქმის მასალების, მათ შორის წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე, არ არსებობს საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი იმისათვის, რომ ადვოკატის მიმართ აღიძრას დისციპლინური დევნა.

III. სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით, მე-3 მუხლის ,,ა" პუნქტით, მე-5 მუხლის „გ" პუნქტით, მე–6 მუხლის პირველი პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №071/18 ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ /სიითი№..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/